შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000186

ᲨᲞᲡ „მერიდიან მერითაიმ ტრეინინგ სენთერის“ კოლეჯის
ეთიკის კოდექსი სტუდენტებისათვის

პროფესიულ სტუდენტის ქცევის ეთიკის პრინციპები

1. კოლეჯის ყველა პროფესიულ სტუდენტზე თანაბრად ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა, ცენტრის წესდება, ცენტრის მარეგულირებელი აქტები და თავისუფლად, თაბარად ხელმისაწვდომია ცენტრის ადამიანური და მატერიალური რესურსები. პროფესიული სტუდენტი სრულად უნდა იზიარებდეს ცენტრის ღირებულებებსა და პრინციპებს. კეთილსინდისიერად და განუხრელად იცავდეს მათ.

პროფესიულ სტუდენტის ეთიკური ვალდებულებები

1. პროფესიული სტუდენტი პატივს უნდა სცემდეს საკუთარი და სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, განსხვავებულ აზრს, ასევე მათ პირად, ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებსა და უფლებებს.
2. აკრძალულია სხვა პირის დისკრიმინაცია ან მისდამი არატოლერანტული დამოკიდებულება ნებისმიერი განსხვავებულობის გამო - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.
3. პროფესიულ სტუდენტი პატივს უნდა სცემდეს კოლეჯის სახელს, იმიჯს და საქმიან რეპუტაციას, ასევე, უფრთხილდება ცენტრის ქონებას.
4. პროფესიულ სტუდენტი პატივს უნდა სცემდეს სხვა პროფესიული სტუდენტის სწავლის უფლებას და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები

1. პროფესიული სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევად ჩაითვლება:
ა) აკადემიური თაღლითობა (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომელიც არ არის ნებადართული, როგორც აკადემიის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ);

ბ) აკადემიური სიყალბე - ფაქტების, მასალების ფალსიფიცირება დამახინჯება, დაუსაბუთებელი, ზედაპირული არააკადემიური კვლევების შესრულება, ანალიზი და შეფასება;
გ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება);

დ) სხვა სტუდენტისთვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
ე) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
ვ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;
ზ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;
ზ) იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება სასურველი არაკუთვნილი, უკანონო შედეგის მიღების მიზნით;
თ) საგამოცდო მასალების მონიშვნა, გაყალბება მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;
ი) აკადემიური მოსწრების მონაცემების (აკადემიური / ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება;
კ) ცენტრის პერსონალზე ზეწოლა შეფასების სასურველი არაკუთვნილი, უკანონო შედეგის მიღების მიზნით;
ლ) ცენტრში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების განზრახ არასრულად წარდგენა.
მ) სხვა ქმედებების განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკის კოდექსის ზოგად წესებს და რომელსაც ვერ ჩამოთვლის წინამდებარე ეთიკის კოდექსი.

ფიზიკური უსაფრთხოება
1. კოლეჯის სტუდენტები და ადმინისტრაციის თანამშრომლები ვალდებულნი არიან, აირიდონ ყველანაირი სახის აგრესიული ფიზიკური კონტაქტი, თუ ეს არ ხდება საკუთარი თავის დაცვის მიზნით.
2. ნებისმიერი ძალადობრივი ქმედება, რაც გამოიხატება ფიზიკური ზემოქმედების სახით და მიმართულია ინსტრუქტორის, პროფესიული მასწავლებლის, კოლეჯის/ცენტრის წარმომადგენლის, პროფესიული სტუდენტის ან სხვა პირის მიმართ, წარმოადგენს ეთიკის ნორმების უხეშ დარღვევას.

შენიშვნა:
ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მოხდება ცენტრის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.

სექსუალური ძალადობისა და სექსუალური შევიწროების აკრძალვა
1. კოლეჯისა და ცენტრის მიზანია, კოლეჯისა და ცენტრის სივრცეში გამოირიცხოს სექსუალური ურთიერთობა, სექსუალური ძალადობა და შევიწროება, მათ შორის ადევნება და თვალთვალი.

2. ამ მუხლით გარანტირებული უფლების მოქმედება არ უკავშირდება მხოლოდ ცენტრის ტერიტორიას და ვრცელდება კოლეჯთან/ცენტრთან შინაარსობრივად დაკავშირებულ პირების მიმართ მიუხედავად დარღვევის გამოვლენის ადგილისა.

შენიშვნა:
ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, შრომითი და მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტას, მსმენელისათვის მომსახურების მიწოდების შეწყვეტას. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომელი ვალდებულია მოახდინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.

დისკრიმინაციის აკრძალვა
1. კოლეჯი/ ცენტრი იცავს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ადამიანის უფლებებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა განმასხვავებელი იდენტობისა.
2. არავის აქვს უფლება გამოავლინოს რაიმე სახის აგრესია ან დისკრიმინაციული დამოკიდებულება ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი დამახასიათებლების გამო.

შენიშვნა:
ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის/ ცენტრის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომელი ვალდებულია მოახდინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.

ნარკოტიკური საშუალებების, ალკოჰოლის, თამბაქოს მოხმარების აკრძალვა
1. კოლეჯს/ცენტრს მიაჩნია, რომ პროფესიული სტუდენტებისა და ცენტრის თანამშრომლების მხრიდან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, სერიოზულ ზიანს მიაყენებს მათ პროდუქტიულობასა და მუშაობა/სწავლის უნარს.
2. კოლეჯის/ცენტრის ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი სახის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის დამზადება, შეძენა, გაყიდვა და მოხმარება.
3. კოლეჯის/ცენტრის სახელით გამართულ ნებისმიერ ღონისძიებაზე აკრძალულია 18 წლამდე პირისათვის ალკოჰოლური სასმელის გადაცემა ან შეთავაზება. ასევე, ნებისმიერი პირისთვის აკრძალულია ალკოჰოლის მოხმარება კოლეჯის/ცენტრის ტერიტორიაზე.
4. ალკოჰოლი შეიძლება დაშვებული იყოს ადმინისტრაციის მიერ მოწყობილ სპეციალურ შეხვედრასა ან წვეულებაზე, სადაც იმოქმედებს კანონით გათვალისწინებული აკრძალვები.
5. კოლეჯის/ცენტრის ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოს მოწევა. შეზღუდვა არ ვრცელდება ცენტრის ეზოში ან შენობის გარეთ თამბაქოს მოწევაზე.

შენიშვნა:
ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის/ცენტრის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომელი ვალდებულია მოახდინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.

აზარტული თამაშების აკრძალვა

1. აზარტული თამაშებისა და ფსონებით ვაჭრობის მოწყობა, სპეციალური ლიზენციის გარეშე, აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებს არ აქვთ უფლება, რომ განახორციელონ აღნიშნული აქტივობები კოლეჯის/ცენტრის ტერიტორიაზე.

შენიშვნა:

ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში მოხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა.

ცენტრის ტერიტორიაზე იარაღის ტარების წესები

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვს იარაღის ტარების უფლება ან პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო სამართალდამცავ სტრუქტურას და აქვს იარაღის ტარების უფლება, ვალდებულია, იარაღი დატოვოს კოლეჯის/ცენტრის შესაბამისი უფლებამოსილების პირთან, სადაც ის შეინახება სპეციალურ და დაცულ ადგილზე.
2. თუ პირს არ აქვს სახელმწიფო ნებართვა, მაშინ საქმეში ჩაერთვება სამართალდამცავი უწყებები და პირი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

შენიშვნა:

დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში მოხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა.

კოლეჯის/ ცენტრის ინვენტარის ხელყოფა

1. კოლეჯი/ცენტრი აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური კომპიუტერული ოთახებით, ბიბლიოთეკითა და ლაბორატორიებით.

მათი შემადგენელი ნაწილები: კომპიუტერული და ციფრული ტექნიკა, წიგნები, მულაჟები, სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი, ავეჯი და ა.შ. წარმოადგენს კოლეჯის/ცენტრის საკუთრებას. მათი დაზიანება, არამიზნობრივად გამოყენება ან მოპარვა, გამოიწვევს კოლეჯის/ცენტრის ეთიკის კოდექსის დარღვევას.

2.პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, დაიცვას ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით დადგენილი წიგნის გამოყენების პირობები და ვადები.

3. კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი პროფესიულმა სტუდენტმა უნდა გამოიყენოს პატიოსნად და პასუხისმგებლობის სრული გათვალისწინებით.

შენიშვნა:

ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის, პირი დაჯარიმდება დაზიანებული/განადგურებული/მოპარული ნივთის ღირებულების შესაბამისად. დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მოხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.

პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდის აკრძალვა

1. კოლეჯი/ცენტრი აღიარებს და პატივს სცემს ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებას. ამასთან ერთად, განმარტავს, რომ კოლეჯის/ცენტრის ტერიტორია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ აკადემიური წინსვლისა და განვითარებისთვის.
2. კოლეჯის/ცენტრის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე, აკრძალულია ფლაიერების დარიგება ცენტრის ტერიტორიაზე. ასევე, აკრძალულია რელიგიური და პოლიტიკური სახის

გამოსვლების მოწყობა და საჯარო მოწოდებები. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა და შიდა ელექტრონული ფოსტა არ უნდა გამოიყენოს არცერთმა თანამშრომელმა და პროფესიულმა სტუდენტმა, როგორც საჯაროდ სასაუბრო პლატფორმა.

შენიშვნა 1:
ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში მოხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
შენიშვნა 2:
დარღვევის მასშტაბის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოხდეს გაფრთხილების გარეშე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

ზეწოლის მცდელობა ცენტრის თანამშრომელზე
1. პროფესიულმა სტუდენტმა თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი სახის ზეწოლის ან ზეწოლის მცდელობისგან, რომლებიც მიმართული შეიძლება იყოს კოლეჯის/ცენტრის პროფესიული მასწავლებლის, ადმინისტრაციულ ან დამხმარე თანამშრომლებზე.
2. ზეწოლაში იგულისხმება:
ა) კოლეჯის/ცენტრის მიერ დადგენილი კომუნიკაციის საშუალებების გარდა პირადი საკონტაქტო სივრცეების გამოყენება აკადემიური გაუმჯობესების ან სხვა მიზნით;
ბ) ყველა იმ მასალის მოძიება, რომელიც დაეხმარება პროფესიულ სტუდენტს გამოცდის ან დავალების ჩაბარებაში;
გ) იძულება და/ან შანტაჟი.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, პირის მიმართ გამოყენებული იქნება გაფრთხილება ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მოხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირება.